განკარგულება:**გ-63. 632435912**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი''-ს მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის ''ტ'' ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განიხილა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის ხარჯების, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება ''-ს 2025 წლის პროგრამა (დანართი #1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის სუბსიდია. (დანართი #2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის ხარჯები. (დანართი # 3)

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი #4).

დანართი #1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ''

პროგრამა

პროგრამა: წიგნი და ბიბლიოთეკა - აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების წყარო

ქვეპროგრამა: ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება **(პროგრამული კოდი-050204)**

პროგრამის აღწერა:

· ფონდების დაკომპლექტება პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და მათი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობო-საძიებო საშუალებებში;

· მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;

· კომპიუტერული მომსახურება;

· ჟურნალ-გაზეთების მიწოდება,

· ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები, პრეზენტაციები, გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები და სხვა.

პროგრამის მიზანი:

· ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება;

· შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა;

· მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;

· საბიბლიოთეკო სფეროს შესაბამისობა თანამედროვე სატანდარტებთან;

· ელექტრონული კატალოგების წარმოება და ხელმისაწვდომობა;

· მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარება და წიგნიერი თაობის აღზრდა;

· ბიბლიოთეკის როლის ზრდა სამოქალაქო განათლებაში.

ღონისძიება:

· საზოგადოების ხელშეწყობა ინფორმაციული და პროფესიული განათლების ზრდის საქმეში.

· მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, შემოქმედებითი და ნოვატორი ახალგაზრდების წარმოჩენა.

· არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა.

რესურსი:

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მკითხველის ინტერესების გათვალისწინება და წიგნადი ფონდის განახლება;

· საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა,

· მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

საბოლოო შედეგები:

· წიგნადი ფონდის ზრდა და მკითხველის სრული დაკმაყოფილება.

· მკითხველთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა .

· მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნისადმი ინტერესის ზრდა და მათი აქტიური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

დანართი #2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკი გაერთიანება’’-ს 2025 წლის სუბსიდია

ათას ლარებში

Eშემოსავალების დასახელება	**2025 წლის გეგმა**
სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	135,0
სულ შემოსავალი	135,0

დანართი #3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს 2025 წლის ხარჯი ათასი ლარი

org. kodi	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან**	**2025 წლის ადგილობტივი ბიუჯეტის სუფსიდიით გასაწევი ხარჯები**
050 204	**ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება**	**135,00**	**135,00**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**22**	**22**
	ხარჯები	**128,90**	**128,90**
	შრომის ანაზღაურება	**110,90**	**110,90**
	საქონელი და მომსახურება	**18,00**	**18,00**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**6,10**	**6,10**
	ძირითადი აქტივები	**6,10**	**6,10**

5.

დანართი #4

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება’’-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი

(ლარი)

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	სარგო თვეში ლარი	წლიური ხელფასი ლრი
1	დირექტორი	1	847	10164
2	ბუღალტერი	1	702	8424
3	საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1	569	6828
4	სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი	1	569	6828
5				

	მომსახურების განყოფილების გამგე	1	569	6828
6	მომსახურების განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარი	1	545	6540
7	დაკომპლექტების განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარი	1	545	6540
8	დაკომპლექტების განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარი	1	545	6540
9	უფროსი ბიბლიოგრაფი	1	545	6540
10	სამკითხველო დარბაზის უმცროსი ბიბლიოთეკარი	1	412	4944
11	ბიბლიოთეკის გამგე	1	495	5940
12	უმცროსი ბიბლიოთეკარი	9	254	27432
13	უმცროსი ბიბლიოთეკარი	1	330	3960
14	დამლაგებელი (ადმინისტრაციაში)	1	266	3192
	ჯამი	22	9225	110700

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი